სამხრეთ კავკასიის ევროინტეგრაციული პროგრესი, ხარვეზები და გამოწვევები

ანზორ აბრალავა
სტუ-ს სრული პროფესორი,
მარიამ ნანიტაშვილი,
სტუ-ს დოქტორანტი

მსოფლიოს ეკონომიკა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ახალ თვისებრიობაში გადავიდა, რომლის ერთ-ერთი განმასხვავებელი მომენტია გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერება. აღნიშნული ნიშნავს ცალკეული ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებასა და გლობალურ პროცესებში ჩართვას.

ამ ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება ევროინტეგრაციის საკითხი, შესაბამისად მრავალი ქვეყანა მიისწრაფვის ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ. ევროინტეგრაციული პროცესები ძირითად შეთანხმებებზე და ვალდებულებებზეა დაფუძნებული და მათ შესასრულებლად სამოქმედო გეგმების შემუშავება ხორციელდება თითოეული ქვეყნისათვის ინდივიდუალურად.

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელშეკრულებო ურთიერთობები ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს (PCA) ეფუძნება. ყველა მათგანი ძალაში 1999 წელს შევიდა. აღნიშნული ისტორიული ფაქტის შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა და შეთანხმებებში გაწერილი ძირითადი ამოცანები, როგორიცაა დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, კანონის უზენაესობა, ადამიანების უფლებათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვნად ჩამოყალიბება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ა.შ. დღის წესრიგიდან ჯერ კიდევ არ მოხსნილა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, ძირითადად, მხარეთა მსუბუქ ვალდებულებებს მოიცავს, თუმცა გარკვეულწილად, პროგრესულ ხასიათსაც ატარებს, რადგან სამივე სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებების I და V მუხლები ეხება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ევროკავშირთან ეკონომიკური თავსებადობის საკითხებს. თუ გავითვალისწინებთ სირთულეებს, რასაც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების მშენებლობის დროს განიცდიდნენ, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება კვლევაც რჩება ევროინტეგრაციის პროცესის განმსაზღვრელ საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტად.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შემდეგ, თანამშრომლობის პოლიტიკის ჩარჩო თავისთავად შეიცვალა, რათა აესახა, როგორც კავკასიაში (სახელმწიფო მშენებლობა და კონსოლიდაცია, რეგიონული კონფლიქტების მოგვარების ძალისხმევა), ისე ევროკავშირში (2004-2007 წლებში ახალი წევრების შემომატება, ლისაბონის ხელშეკრულების მიღება) მიმდინარე ისტორიული მოვლენები. 2003 წელს ევროკავშირმა დაიწყო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ გატარება.

აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მეზობლებთან ახალი გამყოფი ხაზების წარმოშობის პრევენცია და სტაბილურობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა ევროკავშირის აღმოსავლეთით და სამხრეთით, გაფართოებულ საზღვრებზე.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ხელმომწერი მხარეა 16 პარტნიორი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკას“ 2004 წელს შეურთდნენ.

ევროინტეგრაციის გზაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ 2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ოფიციალურად ძალაში შესვლა. პროგრამა ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან ურთიერთობების გაუმჯობესებას და ახალ ასოცირებულ შეთანხმებებს, მათ შორის, სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვს სახელმწიფოსთან, რომელთაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა უფრო აქტიურად ჩაერთონ და ეტაპობრივი ინტეგრაცია მოახდინონ ევროკავშირის ეკონომიკაში. აღმოსავლეთის პარტნიორობა ასევე გულისხმობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამარტივებულ გადაადგილებას სავი-

ზო რეჟიმების ეტაპობრივი ლიბერალიზაციით, რასაც თან უნდა ახლდეს ღონისძიებათა გატარება არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ.

ევროკავშირის ზოგად საქმეთა საბჭომ, 2010 წლის 10 მაისს, მიიღო ევროკავშირისა და კავკასიის სახელმწიფოებს შორის მომავალში „ასოციარებული შეთანხმებების" გაფორმებისათვის საჭირო „მოლაპარაკებათა წარმოების დირექტივები".

„აღმოსავლეთის პარტნიორობის" კონტექსტში, „ასოცირებული შეთანხმება" არის სამართლებრივი სავალდებულო ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც ევროკავშირთან ურთიერთობები არსებული ვალდებულებების საზღვრებს სცილდება. აღნიშნულის მიზანია პოლიტიკური ასოციაციისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევა ევროკავშირის სახელმწიფოებთან. იგი თავისთავად მოიაზრებს პარტნიორი სახელმწიფოების აქტიურ ჩართულობას ურთიერთობების გაღრმავებაში, საერთო ღირებულებების, ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გზით, ასევე, კონსოლიდირებული მმართველობისა და რეგიონული სტაბილურობის, კეთილდღეობისა და ერთმანეთის მიმართ ნდობის უფრო მეტად გაღრმავების მეშვეობით. ვიდრე გამოცხადებული „ასოცირებული შეთანხმებები" (AA) ძალაში შევა, „პარტნირობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება" შეინარჩუნებს ისტორიულ როლს ოფიციალური საკანონმდებლო ჩარჩოების განსაზღვრაში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა, თითოეულ პარტნიორ სახელმწიფოსთან, აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში და ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში ხორციელდება. მის საფუძვლეზე ყალიბდება ქვეყნისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.

2006 წლის ნოემბერში, სომხეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთობლივად დაამტკიცეს ევროკავშირთან შესაბამისი სამოქმედო გეგმები. თითოეული გეგმა ხუთწლიან პერიოდზეა გაწერილი. აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრესულ პარტნიორ სახელმწიფოებში, როგორიცაა მაგალითად, უკრაინა, სამოქმედო გეგმა ჩაანაცვლეს ახალი საოპერაციო ინსტუმენტით („ასოცირებული დღის წესრიგი"). აღნიშნული განხორციელდა, მას შემდეგ, რაც ვადა გაუვიდა ევროკავშირსა და უკრაინას შორის დადებულ პირველ სამოქმედო გეგმას (2008 წლის თებერვალი) და დაიწყო მოლაპარაკებები „ასოცირებული შეთანხმების" შესახებ (2007 წელი). ევროკავშირის საბჭომ, 2009 წლის 8 დეკემბერს, მოამზადა დასკვა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე, სადაც ის მიესალმა „ასოცირებული შეთანხმებისათვის" საჭირო „მოლაპარაკებების წარმოების დირექტივების" სამუშაო ვერსიის შექმნას. ასეთი პერსპექტივა ხელმისაწვდომი გახდა სამხრეთ კავკასიის პარტნიორი სახელმწიფოებისათვისაც.

ევროკავშირთან სამოქმედო გეგმების დამტკიცება 2006 წელს და მოგვიანებით, 2009 წელს, „აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამის წამოწყება, სამივე სახელმწიფომ აღიქვა, როგორც კეთილგანწყობილი ნაბიჯი ევროკავშირის მხრიდან, რომელიც აშკარად იყო დაინტერესებული მთელი რეგიონის ევროკავშირთან დაახლოებით.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება ორი მხარის მიერ: ევროკომისია და შესაბამისი მთავრობები პარალელურად ასრულებენ მონიტორინგის საკუთარ ღონისძიენებებს, რომელთა შედეგებიც აისახება რეგულარულ ანგარიშებში.

მიუხედავად იმისა რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება საერთო შეთანხმებული კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს, პარტნიორები ძალზე იშვიათად ამზადებენ და ამტკიცებენ ასეთ კრიტერიუმებს. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ როგორც აღმოჩნდა, რთულია კრიტერიუმებზე მუშაობა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" საფუძველზე შექმნილი მაკონტროლებელი ორგანოების ფარგლებში, ხოლო ამ ჩარჩოს მიღმა დამტკიცებული დოკუმენტები, როგორიცაა მაგალითად კომისიის „სამუშაო დოკუმენტი" ან „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ეროვნული პროგრამები", გამოდგება მხოლოდ ერთი მხარის ღონისძინებების სახელმძღვანელოდ და არა „საერთო" ღონისძიებათა ჩამონათვლად.

ევროკომისიის მიღწევათა შესახებ 2009 წლის წლიური ანგარიშები 2010 წლის 12 მაისს გამოქვეყნდა. მათში ასახულია საკმაოდ ზომიერი პროგრესი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების სფეროში ზოგადად და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში კონკრეტულად.

რაც შეეხება მმართველობას, პრობლემურ საკითხად რჩება თავისუფლების ფუნდამენტური

უფლებების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლისა და ლტოლვილების დაცვა, საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და კორუფციასთან ბრძოლა. ამ სფეროებში საერთო სიტუაცია ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაუარესდა.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით, სამხრეთ კავკასიის პარტნიორება განსხვავებულ, არათანაბარ შედეგებს იღებენ მას შემდეგ, რაც სამოქმედო გეგმების განხორციელება დაიწყო. უფრო კონკრეტულად კი, მას შემდეგ რაც დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების“ (DCFTA) პროცესი.

2009 წელს საქართველომ ამ კუთხით კარგი შედეგები აჩვენა. შედარებით ლიმიტირებული იყო შედეგები სომხეთში (რაც ძირითადად საჭირო რეფორმების გატარების დაგვიანებით დაწყებას უკავშირდება), ხოლო აზერბაიჯანში – უკუსვლა დაფიქსირდა.

ევროკომისიის მიერ, 2010 წელის 12 მაისს გამოქვეყნებული წლიური ანგარიში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ, ავლენს მთავრობის უფრო პრაგმატულ მიდგომას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართ. გარკვეული მიღწევები არსებობს კანონის აღსრულების, სასამართლო სისტემების რეფორმირების, წვრილმან კორუფციასთან ბრძოლის, ვაჭრობის ხელშეწყობისა და ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესების სფეროებში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ძირითად ამოცანებად კვლავ რჩება პლურალისტური პოლიტიკური სისტემების გაძლიერება და მედიის თავისუფლება. ასევე მნიშვნელოვანია სიღარიბის აღმოფხვრა, დასაქმება და სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება და სამოქალაქო მომსახურების რეფორმირება.

ძირითადი პრინციპი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სამხრეთ კავკასიის ევროინტეგრაციული კურსი აუცილებელია განხორციელდეს სამი ძირითადი მიმართულებით – თავისუფლება, დემოკრატია და ეკონომიკური ქმედუნარიანობა. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგება პრობლემა, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სფეროებს. აქ კი თავს იჩენს არაერთი წინააღმდეგობა დაკავშირებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებთან, რაც ცალკე თემაა და მასზე მომავალში წარმოვადგენთ ჩვენს თვალსაზრისს.

დაბოლოს, ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად უნდა მივიჩინიოთ ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, რომელიც შემუშავდა 1993 წელს და განიცდის პერიოდულ დაზუსტებას. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავს ისეთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ კრიტერიუმებს ევროკავშირში გასაწევრიანებლად, როგორიცაა: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, მოქმედი საბაზრო ეკონომიკა, ევროკავშირის სამართლის ინტეგრირება ქვეყნების შიდა სამართალში და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ანზორ, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბილისი, 2005 წ.
2. საქართველოს ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008 წ.
3. ევროკავშირის საბჭოს დასკვნები სამხრეთ კავკასიის შესახებ, საგარეო საქმეთა საბჭოს 2985-ე შეხვედრა, ბრიუსელი, 8 დეკემბერი, 2009 წ.
4. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „ევროკავშირი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო“, ბიუკეტენი №102, 2006წ.
5. www.eu-integration.gov.ge

ЭВРОИНТЕГРАЦИОННЫЙ ПРОГРЕСС ЮЖНОГО КАВКАЗА, НЕДОЧЕТЫ И ВЫЗОВЫ

АНЗОР АБРАЛАВА, ГТУ, профессор
МАРИАМ НАНИТАШВИЛИ, ГТУ, докторант

Мировая экономика в последние десятилетия, переехал в новое качества и отличается укреплением тенденции глобализации. В такое обстоятельства вопрос о европейской интеграции становится все более актуальным, в зависимости от числа стран, стремящихся к членству в ЕС. Основной принцип, на котором должен быть основан европейская интеграция Южного Кавказа должны быть три основные направления - свобода, демократия и экономическая устойчивостью. Таким образом, повестка дня является проблемой, в том числе экономической, политической, социальной и правовой сферах. Поэтому являются сопротивление социально - экономических и политических систем странах Южного Кавказа.

PROGRESS OF EUROINTEGRATION OF THE SOUTH CAUCASUS, DEFECTS AND CALLS

ANZOR ABRALAVA, GTU, full professor
MARIAM NANITASHVILI, GTU, doctorate student

The world economy in recent decades has moved in a new style, one of which - a distinctive moment in an increasingly globalizing world. This circumstance is an increasingly topical issue of European integration, according to a number of countries aspiring to EU membership. The basic principle which must be based in the South Caucasus euro international rate should be three main areas - freedom, democracy and economic capability. Therefore, the problem in agenda occurs, including economic, political, social and legal spheres. As a result, many resistances exist in socio - economic and political systems of South Caucasus countries.